სსდ საავტომობილო
გზების დეპარტამენტი

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

13 მარტი 2024

MRDI-RD N 2-03/3514

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
საჯარო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსს ბატონ **ნუგზარ წამალაშვილს**

ბატონო **ნუგზარი,**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2024 წლის 28 თებერვლის №5/11274 წერილი, რომელიც შეეხება ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კოკაიას ხეივანი N1-ის - საერთაშორისო მნიშვნელობის **სენაკი - ფოთი (ასაქცევი) - სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი)** საავტომობილო გზის კმ30-ის მიმდებარედ, ს/გზის ღერძიდან მარჯვენა მხარეს **15** მეტრის დაშორებით არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი N04.01.03.1030) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის საკითხს, შემდგომში ავტოსადგომის მოწყობის მიზნით.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი **არ არის წინააღმდეგი** მოხდეს მოცემული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი N04.01.03.1030) განკარგვა.

საქართველოს კანონის ,,საავტომობილო გზების შესახებ“ 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) **შეუთანხმებლად აკრძალულია** ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი - 1 ფურცელი.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE